იუჯინ ო’ნილი

წყურვილი

ინგლისურიდან თარგმნა მაკო ყანჩელაშვილმა

მთავარი გმირები

ჯენტლმენი

მოცეკვავე ქალი

მულატი მეზღვაური

პატარა სამაშველო ნავი ტალღებზე ქანაობდა… გამჭვირვალე წყალის ქვეშ მიწა მოჩანდა. დაუნდობლად მოწმენდილი გაყინული ცისფერი ცა ჰორიზონტის შავ ჩრდილს ერწყმოდა. მწველი მზე ისე დაჟინებით იმზირებოდა ციდან, როგორც განრისხებული ღმერთის თვალები. გაუსაძლისი იყო ალმოდებული გარემო. ძლიერი სიცხისგან ნავს ალი ასდიოდა. მიყუჩებული ოკეანის ზედაპირზე, ზვიგენების ფარფლები განუწყვეტლად მოძრაობდნენ და ზოზინა რკალებს ქმნიდნენ წყლის ზედაპირზე.

ნავზე ორი კაცი და ერთი ქალი იყო. ერთ ბოლოში მეზღვაურის ლურჯ ფორმაში გამოწყობილი შავკანიანი იჯდა. მის ნაქსოვ ჟაკეტზე წითელი ასოებით ფოსტის გაერთიანებული კავშირის ინიციალები ეწერა. მეზღვაურს ძალიან უხეში ფეხსაცმელი ეცვა. თავზე კი თმა შეთხელებული ჰქონდა. საუბრის დროს სიტყვებს ისე წელავდა, იფიქრებდით ენის ბორძიკი მისი მეტყველების განუყოფელი ნაწილიაო. თავისთვის მონოტონურად რომელიღაც ზანგურ სიმღერას ღიღინებდა და თან მრგვალი თვალებით აკვირდებოდა ზვიგენების მოძრაობას.

ნავის მეორე მხარეს კი თეთრკანიანი შუახნის მამაკაცი იჯდა, რომელსაც გამოსასვლელი ტანსაცმლის ნაფლეთებიღა შემორჩენოდა ტანზე. თითქოს მზემ და მარილიანმა წყალმა ამ ერთ დროს დიდებული ტანისამოსის კარიკატურაღა დატოვა. მისი თეთრი პერანგი დალაქავებული და დაჭმუჭნულიყო; ხოლო ნაზ ყელზე შავი ყელსახვევი და ბაფთა უფორმოდ შემოხვეოდა. აშკარად პირველი კლასის მგზავრი უნდა ყოფილიყო. ნავში უემოციოდ იჯდა და სულელური მზერით უყურებდა წყალს, თუმცაAგარკვევით მაინც ვერაფერს ხედავდა. შეთხელებულ და აბურძგნულ თმაში სისხლისფერი ლაქა მოუჩანდა. ულვაშის შავ საღებავს მუქად მოეხატა მისი მზისგან დამწვარი, შიმშილით და წყურვილით გათანგული გამხდარი სახე. დრო და დრო მოხდენილ ტუჩებს გაშავებული ენით ისველებდა.

ორ მამაკაცს შორის ახალგაზრდა ქალი იწვა, რომელსაც ხელები განზე ჰქონდა გაჭიმული და ნავის ბოლოს გაჰყურებდა. გამოსასვლელ ტანსაცმელში გამოწყობილ მამაკაცთან შედარებით ეს ქალბატონი უფრო მეტად უცნაურ შთაბეჭდიელბას ტოვებდა, რადგან რეალობასთან შეუფერებელი ბრჭყვიალა ხავერდის მოკლე ქვედაბოლო ლამაზ ტანს უმშვენებდა. ქერა თმა მის შიშველ და დაუცველ მხრებზე ნაკადულივით მიედინებოდა. ხოლო აბრეშუმის ჩაჩაჩული და დაჭმუჭნული წინდები უხალისოდ იმზირებოდა გადიდებული და ფორმადაკარგული ფეხსაცმელებიდან. ლამაზ კისერს და ჩაცვენილ გულ-მკერდს ბრილიანტის ყელსაბამი უმშვენებდა. განუწყვეტელმა ქვითინმა სახეზე მასიურად წასმული ფერუმარილი და მუქი ფერის მაკიაჟი სრულიად გააფერმკთალა. ალბათ გემზე ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალბატონი იქნებოდა შიმშილსა და წყურვილს მოცეკვავის სასაცილო აჩრდილად რომ არ გადაექცია. საბრალო გამუდმებით მოსთქვამდა და უიმედოდ ქვითინებდა. სამივე მგზავრის თვალებში სიგიჟის სხვივი ნელ-ნელა ინთებოდა.

მოცეკვავე (ადგილს იცვლის და საცოდავად ბრუნდება ჯენტლმენისკენ) ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ეს სიჩუმე გადამიყვანს ჭკუიდან! რატომ არ მელაპარაკებით? ის მაინც გამაგებინეთ,გემი ხომ არ გამოჩენილა საიდანმე?
ჯენტლმენი (მოწყენილი ხმით) არა. მგონი, რომ არა. ყოველ შემთხვევაში, მე ვერაფერს ვხედავ. (ფეხზე წამოდგომას შეეცდება ,მაგრამ დასუსტებული სხეული არ აძლევს ამის საშუალებას და კვნესით დაჯდება უკან) ეს ნავი ადგომის საშუალებას, რომ იძლეოდეს, მაშინ უკეთესად მოგახსენებდით ყველაფერს. ასეთი მოშორებული ადგილიდან ვერაფერს ვხედავ. წყლის ზედაპირიც თითქოს ხელს მიშლის… ჩემი თვალები კი ორ ცეცხლის ბურთს დაემსგავსა: განუწყვეტლად იწვის და იწვის თითქოს ვერ ხვდებიან, რომ თანდათან თავს მაბეზრებენ…
მოცეკვავე მესმის! მესმის! მეც სადაც არ უნდა გავიხედო, ყველგან დიდ სისხლისფერ ლაქებს ვხედავ. თითქოს ციდან სისხლის წვიმა მოვიდაო. თქვენც ხედავთ ამ ლაქებს?
ჯენტლმენი მგონი გუშინ თუ იმის წინ, უკვე აღარც ვითვლი დღეებს, მეც დავინახე. დღეს კი ყველაფერი წითელია. თითქოს თავად ზღვაც სისხლად გადაიქცა. (ჯერ დამსკდარ და დაღარულ ტუჩებს გაილოკავს, მერე იცინის) იქნებ ეს იმ გარდაცვლილთა სისხლია, ვინც უშედეგოდ ცდილობდნენ გადარჩენას, მაგრამ დაიღუპნენ?
მოცეკვავე ნუ ამბობ ასეთ სიტყვებს. საშინელი არსება ხარ. არც ვაპირებ შენს მოსმენას (ძრწოლით შემობრუნდება ჯენტლმენისგან)
ჯენტლმენი (გაბუტული ტონით) ძალიან კარგი. აღარ ვილაპარაკებ. (სახეზე ხელებს იფარებს) ღმერთო! ღმერთო! თვალები ძალიან მტკივა! ყელიც საშინლად მიხურს! (ჯენტლმენი საცოდავად ტირის. სიჩუმე. უცებ გაბრაზებული მოუბრუნდება მოცეკვავეს) რატომ მთხოვე მელაპარაკა თუ ჩემს მოსმენას არ აპირებდი?
მოცეკვავე მე შენთვის სისხლზე ლაპარაკი არ მითხოვია. იმ საშინელი ღამის გახსენება არ მითხოვია.
ჯენტლმენი კარგი, მაშინ აღარაფერს ვიტყვი. შეგიძლია მას ელაპარაკო თუ გინდა. (და ზიზღით უთითებს მეზღვაურზე. შავკანიანს არ ესმის. ის თავისთვის ღიღინებს და ზვიგენებს აკვირდება. ხანგრძლივი პაუზა. სამაშველო ნავს გამუდმებით ათამაშებდა ტალღები. მზე ჩადიოდა.)
მოცეკვავე (კივილით) ოჰ, ეს სიჩუმე! ვეღარ გავუძლებ ამ სიჩუმეს. დამელაპარაკეთ რაზეც თქვენ გინდათ, ოღონდაც ღვთის გულისთვის, დამელაპარკეთ! არ მინდა ვიფიქრო! არ მინდა!
ჯენტლმენი (სინდისის ქენჯით) მომიტევეთ, ქალბატონო! ვშიშობ, ძალიან უხეშად გელაპარაკეთ. ასეთი არ ვარ. მგონი, ცოტა ჭკუაზე შევცდი. ყველგან მზე და ზღვაა. ზოგჯერ ბუდოვნად მეჩვენება ყველაფერი. ძალიან დავსუსტდი. დიდი ხანია არაფერი გვიჭამია და არც არაფერი დაგვილევია (გამოუთქმელად ნატანჯი ხმით) ოჰ, ნეტავ ცოტა წყალი მაინც გვქონდეს!
მოცეკვავე (მივარდება ნავს და დაუწყებს მუშტების ურტყმას) ძალიან გთხოვთ წყალზე ნუ ლაპარაკობთ!
მეზღვაური (უცებ წყვეტს ღიღინს და სწრაფად ტრიალდება) წყალი? ვის აქვს წყალი? (ტუჩებს შორის დასიებული ენა მოუჩანს)
ჯენტლმენი (მიუბრუნდა მეზღვაურს) ხომ იცი, რომ აქ წყალი არავის აქვს? ჩვენი უკანასკნელი მარაგი შენ თვითონ დალიე (გამომწვევად) და საერთოდ, ამდენ კითხვას რატომ სვამ? (მეზღვაური ისევ ზურგს შეაქცევს მათ და გააგრძელებს ზვიგენების ყურებას. ის ახლა არც კითხვებს პასუხობს და აღარც ღიღინებს. ნავზე გამყინავი და შემაძრწუნებელი სიჩუმე ისადგურებს)

მოცეკვავე (მიცოცდება ჯენტლმენთან და ხელს წაავლებს მკლავზე) ნუთუ ვერ ამჩნევთ, როგორი საშინელი სიჩუმეა? სამყარო ასეთი დაცლილი არასოდეს მინახავს. ძალიან მეშინია. მითხარით, რატომ არის ასეთი სიჩუმე? ჯენტლმენი ეგ ფაქტი მეც შევამჩნიე, მაგრამ არ ვიცი რატომ ჩამოწვა ასეთი ავისმომასწავებელი სიწყნარე.
მოცეკვავე აჰ! მე ვიცი. აი, ის არის ჩუმად. ნუთუ არ გახსოვთ სულ რომ ღიღინებდა? აკვიატებული ჰქონდა ერთი სიმღერა. სიმღერა კი არა, სამგლოვიარო მელოდია უფრო იყო. უამრავი უცხო ენაზე შესრულებული სიმღერა მომისმენია, მაგრამ ასეთი რამ არასოდეს. თქვენი აზრით, რატომ შეწყვიტა ღიღინი? ალბათ რაღაცამ შეაშინა.
ჯენტლმენი არ ვიცი, მაგრამ მაინც ვკითხავ. (მეზღვაურს ეკითხება) რატომ შეწყვიტე სიმღერა? (მეზღვაური უცნაურად შეხედავს. პასუხს არ სცემს მის შეკითხვას, ისევ ზვიგენებს გახედავს და ღიღინს გააგრძელებს მოწყენილი და ერთფეროვანი ხმით, თითქოს სიმღერის საშუალებით ცდილობს მოცეკვავისა და ჯენტლმენის დახსნას ნავზე გაბატონებული სიჩუმის კლანჭებიდან).
მოცეკვავე (ისტერიულად იცინის) ეს რა სიმღერაა?! არც მელოდია ვარგა და სიტყვებსაც ვერ ვიგებ. ძალიან მაინტერესებს რაზეა ეს სიმღერა.
ჯენტლმენი ვინ რა იცის? ეჭვგარეშეა თავის ეროვნულ ხალხურ სიმღერას მღერის.
მოცეკვავე ყველაფერი მინდა გავარკვიო! მეზღვაურო? შეგიძლია მითხრა, რაზეა ეს სიმღერა? (უცებ შავკანიანი უხერხულად იგრძნობს თავს და ერთ ხანს მოცეკვავეს მიაშტერდება)
მზღვაური (დამახასიათებელი მეტყველებით) ეს ჩემი ხალხის სიმღერაა.
მოცეკვავე გასაგებია, მაგრამ რას ნიშნავს სიმღერის ტექსტი?
მეზღვაური (მიუთითებს ზვიგენების ფარფლებისკენ) მე მათ ვუმღერი. ძალიან ლამაზი სიმღერაა. ადრე მითხრეს, რომ მას ძალიან დიდი ძალაც აქვს. თუ დიდხანს ვიმღერებ, ისინი არ შეგვჭამენ.
მოცეკვავე (შეშინებული ხმით) არ შეგვჭამენ? ვინ არ შეგვჭამს?
ჯენტლმენი (უთითებს წყალში მოძრავ ზვიგენების ფარფლებზე) ზვიგენებს გულისხმობს. ეს შავი მოძრავი ლაქები წყალში რომ მოჩანს, სწორედ ზვიგენების ფარფლებია. ნუთუ აქამდე არ შეგიმჩნევია?
მოცეკვავე დიახ, შევამჩნიე… მაგრამ არ ვიცოდი ზვიგენები თუ იყვნენ. (ქვითინებს) ოჰ, რა საშინელებაა ეს ყველაფერი!
ჯენტლმენი (უხეშად მიმართავს შავკანიანს) ასეთ რაღაცეებს რატომ ეუბნები? ხომ იცოდი, რომ ძალიან შეეშინდებოდა?
მეზღვაური (მოწყენილი ხმით) აიტერესებდა რას ვმღეროდი და მეც ვუთხარი
ჯენტლმენი (ცდილობს ანუგეშოს მტირალი მოცეკვავე) ბოლოს და ბოლოს უთხარი სიმართლე ზვიგენების შესახებ. ბავშვიც არ დაიჯერებს იმ ზღაპარს, რომ ზვიგენები ადამიანებს ჭამენ. (ხმას იმაღლებს). შენ იცი, რომ ისინი ადამიანებს არ ჭამენ! ეს მეც ვიცი. (შავკანიანი შეხედავს მას და ტუჩებს უცნაურად აამოძრავებს. იმედი ვიქონიოთ, რომ გაღიმებას ცდილობს)
მოცეკვავე (თავს მაღლა სწევს და დაჟინებით იყურება) დარწმუებული ხარ იმაში, რასაც ამბობ?
ჯენტლმენი (შავკანიანის გაშტერებული მზერით დაბნეული პასუხობს) რა თქმა უნდა, დარწმუნებული ვარ. ყველამ იცის, რომ ზვიგენებს ადამიანის შეხებისაც კი ეშინიათ. ისინი ძალიან მშიშრები არიან. (შავკანიანს მიმართავს) მგონი შენ მხოლოდ ქალბატონის შეშინება გინდოდა, არა? (შავკანიანი ზურგს შეაქცევს მათ და ზღვისკენ მიბრუნდება. ის კვლავ აგრძელებს ღიღინს)

მოცეკვავე უკვე აღარ მომწონს ეს სიმღერა. ჩემში საშინელ ფიქრებს აღვიძებს. უთხარი, რომ შეწყვიტოს.

ჯენტლმენი აჰ! მგონი ნერვები გაქვს ძალიან მოშლილი. საშინელ სიჩუმეს ნამდვილად ჯობს.

მოცეკვავე დიახ. ყველაფერი ჯობს სიჩუმეს, ეს სიმღერაც კი.

ჯენტლმენი ძალიან უცნაურია ეს მეზღვაური. არც კი ვიცი, რა ვიფიქრო მასზე.

მოცეკვავე ძალიან უცნაურ სიმღერასაც მღერის.

ჯენტლმენი მგონი მას ჩვენთან საუბარი არ სურს.

მოცეკვავე ეგ მეც შევამჩნიე. როცა სიმღერის შესახებ ვკითხე, პასუხის გაცემა არ მოისურვა.

ჯენტლმენი არადა, ნამდვილად კარგად საუბრობს ინგლისურად. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი არ ესმის.

მოცეკვავე საუბრის დროსაც ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ყელში რაღაც გაჩხერილი აქვს და საუბრის საშუალებას არ აძლევს.

ჯენტლმენი შესაძლოა რაიმე დეფენქტი აქვს და თუ მართალი ვარ, მაშინ არ გვაქვს მასზე ასე საუბრის უფლება

მოცეკვავე ნამდვილად არ მებრალება ეს მეზღვაური. უფრო მეშინია მისი.

ჯენტლმენი რა სისულელეა. ალბათ, მზის მწველი სხივები იწვევს თქვენში ასეთი საშინელ ფიქრებს. ზოგჯერ მეც შემშინებია მისი, მაგრამ ვიცი, რომ ზღვის დიდხანს ყურებამ და ნავზე გამეფებულმა საშინელმა სიჩუმემ მიმიყვანა ამ ზღვრამდე. ასეთი გარემოებები გონებას ამღვრევენ.

მოცეკვავე ე.ი. მისი აღარ გეშინია?

ჯენტლმენი მე მისი აღარ მეშინია, რადგან წინანდელთან შედარებით უკეთ ვგრძნობ თავს. შენთან ლაპარაკი ძალიან მეხმარება. ჩვენ სულ ერთმანეთს უნდა ველაპარაკოთ.

მოცეკვავე მართალი ხარ. ერთმანეთს უნდა ველაპარაკოთ. აღარ მეფიქრება ცუდ ამბებზე, როდესაც შენ გელაპარაკები.

ჯენტლმენი ერთი პერიოდი მეგონა, რომ ჭკუიდან შევიშალე. დამესიზმრა, რომ ხელში დანა ეჭირა და მიყურებდა. ეხლა ვხვდები, რომ ნამდვილი სიგიჟე იყო. ის უბრალოდ საცოდავი შავკანიანი მეზღვაურია, ჩვენი უბედურების თანამგზავრი. ღმერთია მოწმე რა საცოდავ სიტუაციაში ვართ. ერთმანეთში ეჭვი არ უნდა შევიტანოთ.

მოცეკვავე მისი გამუდმებით მეშინია. მის თვალებში იმალება რაღაც შიშისმომგვრელი, რაც ძალიან მაშფოთებს.

ჯენტლმენი ამაზე ვერაფერს გეტყვი. ყველაფერი შენი ფანტნაზიის ნაყოფია. (ხანგრძლივი პაუზა)

მოცეკვავე ღმერთო, დიდებულო! გემი კიდევ არ გამოჩენილა?

ჯენტლმენი (წამოდგომას ცდილობს, მაგრამ ისევ ღონემიხდილი დაეცემა) მე ვერაფერს ვხედავ. ადგომასაც ვერ ვახერხებ, რომ კარგად მოვავლო თვალი აქაურობას.

მოცეკვავე (შავკანიანზე უთითებს) მას ჰკითხე.ის ჩვენზე ძლიერია. შესაძლოა რამის დანახვა მოახერხოს.

ჯენტლმენი მზღვაურო! (შავკანიანი უცებ მოუბრუნდება ჯენტლმენს უმეტყველო თვალებით) შენ ჩვენზე ძლიერი ხარ და მოახერხებ შორი მანძილის დანახვას. ადექი და მითხარი, ჰორიზონტზე მოსჩანს გემი?

მეზღვაური (ნელა იწევა თითის წვერებზე და ჰორიზონტისკენ გაიხედება) არა. არაფერი ჩანს. (ისევ დაჯდება და სევდიანი სიმღერის ღიღინს გააგრძელებს)

მოცეკვავე (უიმედოდ აქვითინდება) ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა როცა ელი რაღაცას, რაც შეიძლება არც არასოდეს გამოჩნდეს.

ჯენტლმენი მართლაც საშინელებაა, მაგრამ სხვა რა გზა დაგვრჩენია?

მოცეკავე ამას რატომ ამბობ? ნუთუ არ გჯერა, რომ გადაგვარჩენენ?

ჯენტლმენი (მოწყენილად) ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამის იმედი მქონდა, თუმცა უშედეგოდ. ახლა ჩვენ იმ დამტვრეული ორთქმავალი გემისგან ძალიან შორს ვართ. ნაოსნობის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ გემბანზე გავიგონე, რომ თავიდანვე არასწორი კურსით მოვდიოდით. მართლა არ ვიცი ასე რატომ მოვიქეცით. ალბათ კაპიტანს მოკლე გზით უნდოდა ჩვენი წაყვანა. სამწუხაროდ მხოლოდ მან იცის ყველაფრის ნამდვილი მიზეზი და ალბათ ოდესმე გვეტყვის კიდეც.

მოცეკვავე არა, ვერასოდეს გვეტყვის.

ჯენტლმენი ასე გადაჭრით რატომ ამბობ? შესაძლოა გაქცეულებს შორის არის რომელიმე ნავზე?

მოცეკვავე ის არ გაქცულა. მოკვდა.

ჯენტლმენი მოკვდა?

მოცეკვავე დიახ. გემბანზე იდგა. ახლაც შემიძლია მისი ლამფის შუქზე მოელვარე სახის გახსენება. გაფითრებული იყო. თვალებიც მკვდარივით ჩაცვენოდა. სუსტი და მილეული ხმით რაღაც ბრძანებებს იძლეოდა. ყურადღებას არავინ აქცევდა. მერე, ტყვიაც დაიხალა თავში.მეც შევესწარი ამ სცენას.ყველა მის სიკვდილზე ლაპარაკობდა. ხალხი ფიქრობდა, რომ ის დაიხრჩო. უცებ ვიღაცამ ხელი მტაცა და ჩახლეჩილი ხმით ჩამყვირა ყურში. შიშისგან გული წამივიდა.

ჯენტლმენი საბრალო კაპიტანი! დღესავით ნათელია, რომ ის საკუთარ თავს ადანაშაულებდა ყველაფერში და ამიტომაც მოიკლა თავი.მართლა საშინელებაა, როდესაც ვიღაცის სიკვდილს შეესწრები და იცი ვინც არის დამნაშავე. მე არ მგონია, რომ მან თავი მოიკლა.

მოცეკვავე კაპიტანი მართლა ძალიან კეთილი და კარგი ბუნების ადამიანი იყო. სწორედ მისი სიკვდილის დღეს ის გემბანზე სასეირნოდ გამოვიდა. ზუსტად ჩემი სკამის წინ გაჩერდა. "როგორც გავიგე ამ საღამოს თქვენ ჩვენს გართობას გეგმავთ", მან მითხრა. "ნამდვილად შესანიშნავ იქნება თქვენი წარმოდგენა. მოხარული ვიქნები თქვენი ხილვით. საკუთარ თავს დავპირდი, რომ ნიუ იორკში ვნახავდი თქვენს წარმოდგენას, მაგრამ ხელი შემეშალა" (პაუზის შემდეგ) როგორი მხარბეჭიანი იყო საბრალო კაპიტანი?!

ჯენტლმენი დიდი სიამოვნებით ვიხილავდი მის სულს

მოცეკვავე დამერწმუნეთ,რომ მისი სული დანარჩენი მამაკაცების სულებისგან დიდად არ განსხვავდება. თუკი დამნაშავე იყო,მაშინ საკუთარი სიცოცხლით აგო პასუხი.

ჯენტლმენი არა. მისთვის დარჩენილი ცხოვრება უფრო დიდი სასჯელი იქნებოდა. მკვდარი კი სათანადო პასუხს ვერ აგებს.

მოცეკვავე და მკვდარი ვერ შეგვეპასუხება, როცა მასზე რამე ცუდს ვიტყვით.ჩვენ ვიცით, რომ ის უკვე მკვდარია.მოდი სხვა რამეზე ვილაპარაკოთ. (პაუზა)

ჯენტლმენი (ხელის ფათურით ეძებს რაღაცას თავისი პალტოს ჯიბეში და იღებს შავ სქელ ყუთს, რომელიც კარტის დასტას წააგავს. ხსნის ყუთს და გაფართოებული თვალებით აშტერდება. გულიანად გადაიხარხარების და მოცეკვავეს გადასცემს ყუთს) ჯანდაბასაც წაუღია!

მოცეკვავე რა ხდება? ვერაფერს ვკითხულობ. თვალები ძალიან მტკივა.

ჯენტლმენი (კვლავ დამცინავად ხითქითებს) ყველა ადგილი შევსებულია! ყველა ადგილი შევსებულია! აზროვნების თავიც არ მაქვს – ფაქტია, ვიღაც ძალიან ცუდად მეხუმრა.

მოცეკვავე (ნელა კითხულობს, სახე თანდათან ეცვლება, თითქოს მალე მიაგნებსო პასუხს) Bბუენოს-აირესის კლუბი ამერიკის შეერთებულ შტატებში! ვერ გავიგე,ეს რა ხუმრობა….

ჯენტლმენი (მოუთმენლად გამოსტაცებს ყუთს ხელიდან) მაშინ აგიხსნი ამ ხუმრობას! მომისმინე! მ-ე-ნ-ი-უ__მენიუ. სწორედ ეს არის ხუმრობა. ამ კლუბს ჩემს საპატივცემულოდ უნდა გაემართაA ვახშამი. (კითხულობს) "მარტინის კოქტეილები, ცხელი სადილი, ღვინო, თევზი, ბურგუნდიული ყველი, ქათმის ხორცი და შამპანური" აქ კი ჩვენ ერთ ნატეხ პურზე და ერთ ყლუპ წყალზე ვოცნებობთ. (უცებ მისი გიჟური სიცილი ეფინება არე-მარეს …ცისკენ გაშმაგებული იქნევს მუშტებს და ყვირის) ღმერთო! ღმერთო! ასე რატომ დაგვცინი! (ასეთი აფეთქების შემდეგ დამწუხრებული დაჯდება თავის ადგილას…მენიუ ისევ აკანკალებულ ხელში უჭირავს)

მოცეკვავე (ქვითინებს) მართლა საშინელებაა. ცხოვრებაში განა რა დავაშავეთ ასე, რომ ვიტანჯებით? თითქოს ამდენი უბედურება განგებ დაემთხვა ერთმანეთს. აქედან მოაშორე ეგ ქაღალდი. მისი დანახვაც კი ძრწოლას იწვევს ჩემში. (ჯენტლმენი მინასავით გამჭვირვალე წყალში გადააგდებს მენიუს. ყველა მოტივტივე მენიუს უყურებს) როგორ დაგრჩათ ეს ნივთი ჯიბეში? ან მეც რატომ მაწამებთ მისი კითხვით? თქვენი მხრიდან არ იყო ეს კარგი საქციელი .

ჯენტლმენი ძალიან ვწუხვარ, რომ გული გატკინეთ. უბრალოდ, ჩემი ტანჯვა იმდენად აუტანელი იყო, რომ მარტო ვერ გავუძლებდი. კიდევ გაინტერესებთ, როგორ აღმოჩნდა ეს ფურცელი ჩემს ჯიბეში? კარგით, გეტყვით. ეს უკანასკნელი ბევრად მწარე ხუმრობა გამოდგა. გახსოვთ აფეთქების მომენტი? ყველანი სალონში ვისხედით. თქვენ მგონი ლონდონურ სიმღერას მღეროდით არა?

მოცეკვავე დიახ. "ლონდონ პალასში" სწორედ ეს სიმღერა შევასრულე.

ჯენტლმენი სალონში მოხდა ყველაფერი. თქვენ მღეროდით. მშვენიერი იყავით. მახსოვს, ჩემს გვერდით მჯდომი ქალბატონი მეუბნებოდა: "როგორი მომხიბვლელია! ნეტავ გათხოვილია? უცნაურია როგორ მოსდის ასეთი იდიოტური აზრები ადამიანს თავში, როდესაც ყველაფერი მის გარშემო ბინდითაა მოცული. როდესაც ტრაგედია მოხდა, თქვენ სიმღერის შუა ნაწილს მღეროდით… მგონი ყველას ნათლად ახსოვს გემზე ატეხილი არეულობა. თავი მატარებლის სადგურში მეგონა.

მოცეკვავე მეც მსგავსი შეგრძნება მქონდა. ერთი მელოტი და მსუქანი კაცი მახსოვს. გემის საბოლოო ჩაძირვამდე საშინელი ბრძოლა გაიმართა ნავებში ადგილების დაკავებისთვის. ის საწყალი კაცი თავისთვის იდგა გემბანზე. მთვარესავით მრგვალი სახე სიბრაზისგან უკანკალებდა. გაბრაზებული ხმით იძახდა: "ნამდვილად დამაგვიანდება! შეტყობინება მაინც უნდა გავაგზავნო! თუმცა ვგონებ, მაინც ვერ მოვასწრებ!" საბრალო, ისევ თავის შეხვედრაზე დარდობდა, როდესაც აბობოქრებულმა ხალხის ნაკადმა შემთხვევით წყალში გადაისროლა. ახლაც თვალწინ მიდგას საწყალი მგზავრი. კარგად მახსოვს, რომ კაპიტნის წინ მხოლოდ ის იდგა.

ჯენტლმენი (საბრალო ხმით აგრძელებს ამბის მოყოლას) მართლა მშვენიერი იყავი. გიყურებდი და ვფიქრობდი, ნეტავ როგორია სინამდვილეში. ხომ გახსოვს, რომ პირადად არ გიცნობდით, მხოლოდ რამდენჯერმე მყავდით ნანახი გემბანზე. შემდეგ შეჯახებაც მოხდა. საშინელი შეჯახება. ყველანი სალონის იატაკზე აღმოვჩნდით. ყველა ყვიროდა, ოხრავდა…. ქალებს გული მისდიოდათ… მტვრევის დროს გემის ტიხრები ყურისწამღებ ხმებს გამოსცემდნენ. ბუნდოვნად მახსოვს ,რომ პირველად ჩემს ოთახში შევვარდი და საფულეს დავტაცე ხელი.

როგორც ჩანს,სიჩქარეში მენიუ ავიღე მის ნაცვლად.შემდეგ გემბანზე გავედი და ხალხის ნაკადში მივიკვლევდი გზას. როგორღაც ნავში აღმოვჩნდი, მაგრამ ხალხით იყო გადავსებული.უცებ სხვა ნავში გადავხტი,საიდანაც ყვირილით და ცემით გადმომაგდეს. ერთი წუთის შემდეგ ეს ნავიც საშინლად გადაივსო. უცებ გვერდიდან ხალხის ყვირილი და ხროტინი მომესმა.ნავი იძირებოდა. უცებ შავმა რაღაცამ კუდით ფოსფორის ფერი წყალი გააპო და გვერდით ჩამიქროლა. ჩემს გვერდით მყოფ ქალს სამაშველო ჟილეტი ეცვა. საბრალოს უცებ ტანჯული ხმა აღმოხდა და გაუჩინარდა. უცებ მივხვდი, რომ ზვიგენები გვეხვივნენ გარს. საშინელმა შიშმა შემიპყრო. ცურვა დავიწყე. წყალს ხელებით ვაპობდი. გემი უკვე ჩაძირული იყო. შეუსვენებლად მივცურავდი და მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა თავში, ამ საშინელებას გავცლოდი. წყალში რაღაც თეთრს მოვკარი თვალი. მოვეჭიდე და ზედ ავცოცდი. ეს სამაშველო ნავი აღმოჩდა. აქ შენ და ის მეზღვაური დამხვდით. შემდეგ გული წამივიდა.რაც მოხდა,ნამდვილად საშინელი კოშმარი იყო,თუმცა სალოში მჯდარი ქალის იდიოტური შეკითხვა კვლავაც მიტივტივებს გონებაში. რა საბრალო ქმნილებები ვართ!

მოცეკვავე როდესაც ტრაგედია მოხდა, მეც ჩემს ოთახში შევარდი. მხოლოდ ამის წამოღება მოვახერხე. (ბრილიანტის ყელსაბამს უჩვეენებს) უცებ შევიბი ყელზე და გამოვარდი გემბანზე. დანარჩენი კი უკვე გიამბეთ.

ჯენტლმენი არ გახსოვს ამ სამაშველო ნავზე როგორ აღმოჩნდი? ძალიან უცნაურია შენ და ის, რომ იყავით ნავზე, მაშინ როცა პატარა ხის ნატეხზე ჩხუბობდა ხალხი. ნავზე თქვენს მეტი არავინ იყო?

მოცეკვავე არა, დარწმუნებული ვარ, რომ მეტი არავინ ყოფილა. გონებაში ყველაფერი არეული მაქვს,თუმცა კარგად მახსოვს,რომ ნავზე ჩვენს მეტი არავინ ყოფილა. მერე შენ გამოჩნდი. თავიდან მეშინოდა შენ. შიშისგან სახე წაშლილი გქონდა. მხოლოდ შენთვის გმინავდი.

ჯენტლმენი ზვიგენების გამო. მათ გამოჩენამდე თავის გაკონტროლება ჯერ კიდევ შემეძლო, მაგრამ მათი დანახვისას სულიც კი გამეყინა.

მოცეკვავე (შიშით ათრთოლებული გახედავს წყალში მოტივტივე ფარფლებს) ზვიგენები! რატომ დაცურავენ ჩვენს გარშემო? (შეშინებული) შენ მე მომატყუე! შენ მითხარი, რომ არაფერს დაგვიშავებდნენ. ოჰ, მართლა ძალიან მეშინია… ცუდად ვარ! (სახეზე ხელებს იფარებს)

ჯენტლმენი მე ამ ტყუილით მინდოდა თქვენთვის ტანჯვა შემემსუბუქებინა. უნდა გამაგრდეთ! ზვიგეები ვერაფერს დაგვიშავებენ სანამ ამ ნავზე ვიქნებით. თვალი უნდა გავუსწოროთ რეალობას. (უფრო მეტად დაღვრემილი ხმით აგრძელებს) გარდა ამისა, რა მნიშვნელობა აქვს? ზვიგენების გარემოცვაში თუ მათ გარეშე, მაინც ერთი ბოლო გვაქვს.

მოცეკვავე (ხელებს იშორებს სახიდან და მოწყნილი გაჰყურებს წყალს) მართალი ხარ. რა მნიშვნელობა აქვს?

ჯენტლმენი ღმერთო ჩემო! როგორი წყნარია ზღვა?! როგორი მშვიდია ცა! შეიძლება ვიმემ იფიქროს კიდეც, რომ ყველაფერი მოკვდა. მხოლოდ ამ შავკანიანის წყეული ღიღინი არღვევს სიჩუმეს. თითქოს ზვიგენების მეტი ამქვეყნად ცოცხალი აღარავინ დარჩა.

მოცეკვავე მზე საშინლად მწვავს! (საცოდავად) ერთ დროს ჩემი ნაზი კანით ვამაყობდი!

ჯენტლმენი (ძალას იკრებს,რომ თავი გამოიფხიზლოს) მოდი ამაზე აღარ ვიფიქროთ. სიგიჟეა ამ ყველაფერზე ფიქრი. მაინც, როგორ აღმოჩნდით ნავზე ამ შავკანიანთან ერთად? ჯერ არ გითქვამთ ჩემთვის.

მოცეკვავე როგორ გითხრათ? ბოლოს მახსოვს ხმამაღალი დაძახება, რომელსაც სიტყვა-სიტყვით ვერ ვიხსენებ.

ჯენტლმენი მეტი არაფერი გახსოვს?

მოცეკვავე არაფერი (პაუზა) მოიცადე! რაღაც იყო კიდევ რისი თქმაც დამავიწყდა. როგორც მახსოვს ვიღაცამ მაკოცა. დიახ, დარწმუნებული ვარ, რომ ვიღაცამ მაკოცა. მაგრამ არა,ვცდები. შესაძლოა ყველაფერი დამესიზმრა. დღისით და ღამით იმდენი საშინელი სიზმარი ვნახე, რომ გამორიცხული არაფერია. (თვალები დაებინდა და ტუჩები აუთრთოლდა. თავისთვის ბუტბუტებდა) საშინელი სიზმრები, კოშმარები.

ჯენტლმენი (მოცეკვავესთან მიცოცდა და ხელით ანჯღრევს) მისმინე! წეღან თქვი ვიღაცამ მაკოცაო.მგონი,რომ ცდები. მე ნამდვილად არ ვყოფილვარ და მეზღვაური ხომ მითუმეტეს.

მოცეკვავე მაინც მგონია, რომ ვიღაცამ მაკოცა, მაგრამ ამ სამაშველო ნავზე არა. როცა გემბანზე ვიდექი და გული წამივიდა, სწორედ მაშინ ვიგრძენი.

ჯენტლმენი მაინც ვინ შეიძლება ყოფილიყო?

მოცეკვავე სიმართლე გითხრათ ვერ ვბედავ იმის თქმას რასაც ვფიქრობ. შესაძლოა ვცდებოდე. გახსოვს დამხმარე ოფიცერი, ახალგაზრდა, შავ-თვალება და ძალზედ სიმპათიური ინგლისელი? ყველა ქალს მოსწონდა. მათ შორის მეც, მაგრამ ძალიან არ ვგიჟდებოდი მასზე. სამაგიეროდ მას ვუყვარდი და როგორც თვითონ ამბობდა, ძალიან. დიახ, ვიცი, რომ მართლა ვუყვარდი.მე მგონია, რომ სწორედ მან მაკოცა. თითქმის დარწმუნებული ვარ.

ჯენტლმენი დიახ, შესაძლოა ის ყოფილიყო. თქვენი ნალაპარაკები ხსნის ყველაფერს. ალბათ, სწორედ მან გამოაგზავნა სამაშველო ნავი თქვენი და ამ მეზღვაურის დასახმარებლად. იქნებ არ უნდოდა, რომ სხვებსაც სცოდნოდათ ამ ნავის არსებობის შესახებ. ალბათ, მართლა ძალიან უყვარდით თავისი მოვალეობები,რომ დაივიწყა. მოდი მეზღვაურს ვკითხავ. შესაძლოა მან გასცეს პასუხი ჩვენს კითხვებს. (შავკანიანს მიმართავს) მეზღვაურო! (შავკანიანი წყვეტს სიმღერას და დიდი შავი თვალებით უყურებს) დამხმარე ოფიცერმა გიბრძანა ამ ქალბატონის წაყვანა გემიდან?

მეზღვაური (უცაბედად) არ ვიცი.

ჯენტლმენი მან მარტო ამ ქალბატონის წაყვანა გთხოვა და სხვა არავისი? ალბათ თვითონაც აპირებდა წამოსვლას.

მეზღვაური (ბრაზით) არ ვიცი. (ის ისევ შებრუნდება და გააგრძელებს სიმღერას)

მოცეკვავე მეტი აღარ დაელაპარაკო. რაღაცაზეა გაბრაზებული. მაინც არ გიპასუხებს.

ჯენტლმენი მგონი ჭკუიდან შეიშალა. თუმცა მგონი უკვე დავრწმუნდით, რომ დამხმარე ოფიცერმა გაკოცათ და სიკვდილსაც გადაგარჩინათ.

მოცეკვავე ის ძალიან მოსიყვარულე და თბილი იყო ჩემს მიმართ. ცუდი განზრახვა არ ჰქონია, თუმცა ახლა ვოცნებობ, რომ არ გადავერჩინე და ცივი წყლის ფსკერზე მეტივტივა სულამომძვრალს. ცივ წყალში ძალიან მშვიდი და ღრმა ძილით დავიძინებდი. ახლა კი ჩემი გონება მწველი მზისგან და საშინელი ფიქრებისგან იტანჯება. ამასთანავე, მგონი ჭკუიდან გადავდივარ. ყველანი თანდათან ვგიჟდებით. შენი თვალებიდანაც ხანდახან სიგიჟის ველური ცეცხლი ანათებს, ამ მეზღვაურის თვალები ამოუცნობ ფიქრებს მალავს, ჩემი სისხლის წვეთების მსგავსი ცრემლები კი მხიარულად ცეკვავენ ზღვაში. დიახ, ჩვენ ყველანი გავგიჟდით. (პაუზა) ღმერთო! ყოვლად ძლიერო ღმერთო, ნუთუ ეს არის ჩვენი დასასრული? მე ხომ უბრალოდ სახლში ვბრუნდებოდი?! საკუთარ თავთან რამოდენიმე წლიანი ბრძოლის შემდეგ გადავწყვიტე დაბრუნება. ახლა კი, ამ სამაშველო ნავზე უნდა მოვკვდე, როგორც უსახელო, ცოფიანი ძაღლი. (სასოწარკვეთილი ტირის)

ჯენტლმენი დამშვიდდი! სასოწარკვეთილებაში არ უნდა ჩავარდე. ჩემდა უნებურად, მეც მინდა ღმერთს გავუწყრე და ვთქვა: ”ოჰ,ღმერთო! ღმერთო! ოცი წლის შეუსვენებელი, ერთფეროვანი და დამღლელი დღეების შემდეგ ჩემს ცხოვრებაში პირველად წავედი შვებულებაში. უკვე სახლში ვბრუნდებოდი. ახლა კი, მარტოსული და ყველასგან მიტოვებული ნელი სიკვდილით ვკვდები. ეს არის ამდენი წლის მუშაობის საფასური? ღმერთო, ნუთუ ეს არის დასასრული? ჩვენს გოდებას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან თავზე უმეტყველო ცა დაგვყურებს და კითხვებზე პასუხს ვერ გაგვცემს. ვერც დაუნდობელი ზღვა შეისმენს ჩვენს ვედრებას.

მოცეკვავე ნუთუ არ გაქვს იმედი, რომ რომელიმე ნავი მაინც მიაღწვდა ხმელეთს და კატასტროფის შესახებ შეატყობინებდა ხალხს? ისინი კიდევ, გემებს გამოაგზავნიდნენ დანარჩენების გადასარჩენად.

ჯენტლმენი ჩვენ ძალიან შორს გამოგვრიყა ბობოქარმა ტალღებმა. ვშიშობ, რომ ვერავითარი გემი ვერ მოგვაგნებს.

მოცეკვავე ე.ი. დავიკარგეთ? (სახით ძირს ეცემა. ტირილისგან მხრები უცახცახებს)

ჯენტლმენი იმედი ჯერ არ დამიკარგავს. გამიგია, რომ ეს ზღვა სავსეა მარჯნის კუნძულებით და დარწმუნებული ვარ ერთ-ერთს მაინც გადავაწყდებით. შესაძლოა სწორედ რომელიმე რუკაზე აღუნიშნავმა მარჯნის კუნძულმა გამოიწვია ჩვენი გემის ჩაძირვა. მახსოვს ვიღაცამ იყვირა რიფები, მაგრამ ვერაფერი დავინახე წყალში. მთავარია როგორმე ხმელეთამდე მივაღწიოთ. (ხმა უთრთოლდება; გაშავებულ ტუჩებს ილოკავს. თვალებში სიგიჟის ნიშნები ეტყობა და თხემით ტერფამდე იკრუნჩხება) მარტო წყალი თუ გადაგვარჩენს, სულ ცოტა წყალი, რამოდენიმე წვეთიც კი საკმარისი იქნება. (მავედრებელი ხმით) ღმერთო, ნეტავ ცოტა წყალი მაინც გვქონდეს!

მოცეკვავე იქნებ იმ კუნძულზე იყოს წყალი. შეხედე! იქით გაიხედე! სანამ ჩვენ ვლაპარაკობდით შესაძლოა ჰორიზონტზე გემი ან კუნძული გამოჩენილიყო. (პაუზაა. უცებ ფეხზე დგება და მოპირდაპირე მხარეს იშვერს თითს) ხედავთ? იქ კუნძულია!

ჯენტლმენი (დასიებულ თვალებს აკანკალებული ხელით იწმენდს და აქეთ-იქით დამფრთხალი იხედება) მე ვერაფერს ვხედავ, ჩვენს წინ მარტო წითელი ზღვა და ცაა.

მოცეკვავე (შორს რაღაც წერტილს უყურებს და იმდგაცრუებული ამბობს) გაქრა. არადა დარწმუნებული ვარ, რომ მართლა დავინახე. ძალიან ახლოს იყო. სულ მწვანით დაფარული ადგილიდან ნათლად მოჩანდა ზღვაში ჩამავალი კამკამა წყარო, წყლის ჩხრიალიც კი მესმოდა. თქვენ მაინც არ გჯერათ ჩემი. შენ, მეზღვაურო! შენც ხომ დაინახე? (შავკანიანი ხმას არ სცემს) ახლა ვეღარც მე ვხედავ, თუმცა კიდევ უნდა მოვძებნო. თქვენც დაგანახებთ და მერე დამიჯერებთ.

ჯენტლმენი (აჯანჯღარებს) რასაც შენ ამბობ, ნამდვილი სისულელეა. გარწმუნებ, რომ კუნძული არსად გამოჩენილა. ჩვენს გარშემო მარტო ცა და ზღვაა. არც მწვანე ხეები და არც კამკამა წყალია სადმე. (მეზღვაური წყვეტს ღიღინს, შემობრუნდება და მათ შეხედავს)

მოცეკვავე (გაბრაზული) ნუთუ იმის თქმა გინდა, რომ მე ვტყუი? ე.ი საკუთარ თვალებს არ უნდა დავუჯერო? გასაგებად გითხარით, რომ დავინახე გრილი კამკამა წყალი. მესმოდა, როგორ მოწკრიალებდა ქვებზე. ახლა კი, აღარაფერი მესმის. საერთოდ არაფერი. (უცებ მეზღვაურისკენ ტრიალდება) რატომ შეწყვიტე ღიღინი? ყველაფერი ისედაც ცუდადაა და შენ გინდა კიდევ უფრო დაძაბო მდგომარეობა?

მეზღვაური (გასიებულ ენას ყოფს გარეთ და ყავისფერს თითს იდებს ენაზე) წყალი! წყალი მინდა! ცოტა წყალი მომეცით და ვიმღერებ.

ჯენტლმენი (გაცოფებული) წყალი არ გვაქვს სულელო! სწორედ შენი ბრალია, რომ წვეთი აღარ დაგვრჩა. რატომ გამოცალე წყლით სავსე ჭურჭელი სანამ ჩვენ გვეძინა? წყალი რომც მქონდეს, ერთ წვეთსაც არ გავიმეტებდი შენთვის. ჯოჯოხეთში დახრუკვას იმსახურებ, ღორო! წესით, ჩვენ სამში თუკი ვინმეს უნდა ჰქონდეს წყალი, ეს შენ უნდა იყო. ცოტა მაინც გექნება სადმე გადამალული. (სიგიჟისგან ბოროტულად იცინის) თუმცა გპირდები, რომ მაგ წყლის დალევის საშუალებას არასოდეს მოგცემ. თვალს გადევნებ. (შავკანიანი პირქუშად ტრიალდება)

მოცეკვავე (ჯენტლმენს მკლავში კიდებს ხელს და ყურში რაღაცას ჩაუჩურჩულებს. მოცეკვავე ძალიან აღელვებულია და ჯენტლმენიც თავისთვის გიჟივით იცინის) მართლა გგონია, რომ ცოტა წყალი კიდევ აქვს?

ჯენტლმენი (გიჟური ხითხითით) შესაძლოა, რომ ჰქონდეს. არ არის გამორიცხული

მოცეკვავე ასე რატომ გგონია?

ჯენტლმენი რაღაც ძალიან უცნაურად იქცევა.თითქოს მთელი ამ ხნის განმავლობაში რაღაცის დამალვას ცდილობს. სულ მაინტერესებდა რაში იყო საქმე.შემდეგ ჩემთვის დავფიქრდი: ”ხომ შესაძლოა ცოტა წყალი ჰქონდეს?” ეხლაც ისეთი შეგრძნება მაქვს,რომ მართალი ვარ. არავითარ შემთხვევაში არ მივცემ დალევის საშუალებას. თვალყურს ვადევნებ. დალევას ნამდვილად ვერ მოახერხებს. სანამ თვალის ჩინი მექნება, მანამდე თვალს არ მოვაშორებ.

მოცეკვავე ნეტავ რაში ინახავს წყალს? ვერავითარ ჭურჭელს ვერ ხედავ. (მოცეკვავე საბოლოოდ დარწმუნდება ჯენტლმენის ნათქვამში)

ჯენტლმენი რას გაიგებ? შესაძლოა მოსასხამის შიგნით მათარა ჰქონდეს დამალული. დარწმუნებული ვარ, რაღაცას მალავს. აი თუნდაც, ამიტომ გამოიყურება ის ჩვენზე მხნედ? თავისუფლად მოძრაობს, მაშინ როდესაც ჩვენ ადგომის თავიც კი არ გვაქვს. ამას როგორ ახსნი?

მოცეკვავე მართალია. გახსოვს, როგორ მკვირცხლად წამოდგა ჰორიზონტის დასაზვერად? თითქოს შიმშილი და წყურვილი უცხო გრძნობა ყოფილიყოს მისთვის. მართალი ხარ. აშკარად, ან საჭმელს ან წყალს მალავს.

ჯენტლმენი (მთელი არსებით ცდილობს თავისი აკვიატებული ვარაუდის დამტკიცებას) არა, საჭმელი არ აქვს. სავარაუდოთ, წყალი უნდა ჰქონდეს. ამ ნავზე მოსვლის დროს, მათარა პირამდე სავსე იყო სასმელი წყლით. აღარ მახსოვს მეორე თუ მესამე ღამეს გამეღვიძა და დავინახე, როგორ ეწაფებოდა წყალს. როცა მივვარდი, მარტო ცარიელი მათარა შემრჩა ხელში. (მუშტს მრისხანედ იქნევდა შავკანიანი მეზღვაურის ზურგს უკან) ოჰ, შენ ღორო! დამპალო ღორო! (შავკანიანს თითქოს მისი სიტყვები არ ესმოდა)

მოცეკვავე ის წყალი ხომ თითოეულ ჩვენთაგანს გადაარჩენდა? მკვლელობას არ ჩამოუვარდება მისი საქციელი.

ჯენტლმენი (წყურვილისაგან შეშლილი აბდაუბდას ლაპარაკობს) მომისმინე! მგონი წყალი თავის მათარაში შეინახა. ცოტა მაინც უნდა იყოს დარჩენილი. ბოლომდე არ დალევდა. საკმაოდ ცბიერია. თავისი სიმღერით უნდოდა ჩვენი ყურადღების გაფანტვა. ჰგონია, რომ საერთოდ არ ვადევნებთ თვალყურს. პირობას ვდებ, ამიერიდან ერთ წვეთსაც ვერ დალევს. თვალს არ მოვაშორებ.

მოცეკვავე თვალს არ მოაშორებ? მერე, ეგ რას მოგვიტანს? რა მნიშვნელობა აქვს მის ყურებაში თუ მოკვდები? არა! ჯობს რამენაირად ცოტა წყალი მოვპაროთ. მხოლოდ ეს არის გამოსავალი.

ჯენტლმენი დარწმუნებული ვარ, თავისი ნებით არ მოგვცემს.

მოცეკვავე როცა დაიძინებს, მაშინ მოვპაროთ.

ჯენტლმენი რაღაც არ მგონია, რომ იძინებდეს. არასოდეს მინახავს მძინარე. გარდა ამისა, შესაძლოა გაიღვიძოს და ფაქტზე წაგვასწროს. ნამდვილად იმსახურებს სიკვდილს.

ჯენტლმენი ის ჩვენზე ძლიერია, დანა აქვს. არა, მაგის გაკეთებას ვერ შევძლებთ. დიდი სიამოვნებით მოვკლავდი, რადგან როგორც შენ თქვი, სიკვდილს ნამდვილად იმსახურებს. ერთი წუთით არ დავფიქრდებოდი, მაგრამ ძალა აღარ დამრჩა. იარაღიც არ მაქვს. ჩემს მცდელობას ალბათ სასაცილოდ აიგდებს.

მოცეკვავე რაღაც გამოსავალი უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, ყველაზე სასტიკი ველურიც კი გაგვინაწილებდა წყალს ასეთ დროს. ჩვენით მაინც უნდა მოვიპოვოთ წყალი. საშინელებაა როდესაც წყურვილით კვდები, არადა წყალი სადღაც ახლოსაა. იფიქრე! იფიქრე! ნუთუ გამოსავალი არ არსებობს?

ჯენტლმენი წყალს ალბათ შენი ყელსაბამის სანაცვლოდ დაგვითმობს. გამიგია, რომ მისნაირებს ძალიან იზიდავთ ძვირფასი ნივთები.

მოცეკვავე ყელსაბამი? ის ხომ რამოდენიმე ათასი ფუნტი ღირს? ერთმა ინგლისელმა ჰერცოგმა მაჩუქა. ნამდვილად ვერ შეველევი. შენ რა, სულელი გგონივარ?

ჯენტლმენი წყალზე იფიქრე! (ორივე გამომშრალ ტუჩებს ილოკავს) წყალს მალე თუ არ დავლევთ, მაშინ დავიღუპებით. (უხეშად იცინიან) გინდა, ყელსაბამი ზვიგენებს აჩუქო? კარგი, მაშინ ერთ სიტყვასაც აღარ ვიტყვი. მე პირადად, ერთი წვეთი წყლისთვის სულსაც გავყიდდი.

მოცეკვავე (შიშისგან ათრთოლებული ინსტინქტურად ზვიგენების ფარფლებს გახედავს) რა საშინლად მელაპარაკები. თითქმის უკვე დამავიწყდა ეს მონსტრები. ცუდად იქცევი, როდესაც ასე ხშირად მახსნებ მათ არსებობას.

ჯენტლმენი კარგი იქნება თუკი ხშირად იფიქრებ მათზე. ჰერცოგის ნაჩუქარ ყელსაბამს ასე უფრო ნაკლებად დააფასებ. (გაცხარებით არტყამს გაძვალტყავებულ ხელს ნავს) კარგი, კარგი…. სანამ შენ ოცნებებში დაფრინავ, ორივე წყურვილით დავიხოცებით. სასწრაფოდ შესთავაზე ყელსაბამი! სწრაფად მიაწოდე!

მოცეკვავე (ყელსაბამს იხსნის, უაზროდ ჩაფიქრდება და უხალისოდ უყურებს მის ხელებში აბზინებულ ბრილიანტებს) ნამდვილად მშვენიერია, არა? ვერ შევეგუები მის გარეშე ყოფნას. ჰერცოგს ძალიან ვუყვარდი, მოხუც ჰერცოგს. ვფიქრობ, რომ მალე ცოლადაც მომიყვანდა, თუმცა მე არ მომწონდა. მოხუცი იყო. ძალიან მოხუცი. მერე რაღაც მოხდა, ოღონდ არ მახსოვს რა და მის მერე აღარ მინახავს. მისგან სამახსოვროდ მხოლოდ ეს ყელსაბამი დამრჩა.

ჯენტლმენი (სიგიჟით გონდაკარგული მიშტერებია წყალს) ჯანდაბა! ასე რატომ ლაპარაკობ? იმ წყალზე იფიქრე მეზღვაურს რომ აქვს. მიდი და მიეცი ყელსაბამი! სწრაფად, მიეცი!

მოცეკვავე ყელი სულმთლად გამომიშრა. თვალებზეც თითქოს ცეცხლი მიკიდია. წყალი აუცილებლად უნდა დავლიო. (ხოხვით მიდის შავკანიანანისაკენ. მეზღვაური ვერც ამჩნევს მის მოახლოვებას. მოცეკვავე აკანკალბული ხელით ეხება მის ზურგს. მეზღვაური ნელა ბრუნდება, თავისი ცხოველივით მრგვალი და მოწყენილი თვალებით შეხედავს მოცეკვავეს, რომელსაც მარჯვენა ხელში უჭირავს ყელსაბამი. ხრიწიანი ხმით სწრაფად საუბრობს და თან ყელსაბამი შავკანიანის სახესთან ახლოს მიაქვს.) მისმინე, შენ ჩვენი წყალი მოიპარე და ამისთვის სიკვდილსაც იმსახურებ, მაგრამ ჩვენ ყველაფერს დავივიწყებთ. ამ ყელსაბამს შეხედე. ინგლისელმა ჰერცოგმა მისახსოვრა. რამოდენიმე ათასი ფუნტი მაინც ღირს, 5 ათას დოლარზე მეტი. დამერწმუნე, მთელი შენი დარჩენილი ცხოვრება უზრუნველად იცხოვრებ და მეზღვაურობაც აღარ მოგიწევს. საერთოდ მუშაობაზეც უარს

იტყვი. ვერ ხვდები რას ვგულისხმობ? (შავკანიანი ხმას არ იღებს. რატომღაც მოცეკვავე ძალიან ჩქარობს და ლექსივით სხაპასხუპით ისვრის სიტყვებს) იმ წყლის სანაცვლოდ შენ, რომ მოგვპარე, ამ ყელსაბამს გაძლევ, ნამდვილი ბრილიანტებია. წარმოიდგინე: 5 ათასი დოლარი წყლის ფასად. სულ მთლიანად ნუ მომცემ. ხარბი არ ვარ. ცოტა შენთვისაც დაიტოვე. არ მინდა, რომ ხელებში ჩამაკვდე. ცოტა წყალი მინდა ჩემთვის და ჩემი მეგობრისთვის ცოცხლები, რომ გადავრჩეთ და რომელიმე კუნძულსაც მივაღწიოთ. სიცხისგან ტუჩები სულმთლად დამისკდა. თავიც მისკდება! აჰა, გამომართვი ყელსაბამი. შენია. (თითქმის ძალით ჩაუდებს ხელებში ყელსაბამს. მეზღვაური მაშინვე გაწევს ხელებს, ყელსაბამი ძირს დავარდება და აელვარდება მწველი მზის შუქზე).

მოცეკვავე (ხმას ძალიან მკვეთრად უწევს) წყალი მომეცი! ყელსაბამი ტყუილად გამომართვი? ახლავე მომეცი წყალი!

ჯენტლმენი (მთელი ამ ხნის განმავლობაში გაფაციცებით აკვირდებოდა სიტუაციას და უცებ ისიც იმაღლებს ხმას) გაიგე? ახლავე მიეცი წყალი!

მეზღვაური (სიტყვებს ჩვეული მანერით გამოთქვამს და თან გაურკვევლად იყურება აქეთ-იქით) წყალი არ მაქვს.

მოცეკვავე ოჰ, წყეულო! რატომ იტყუები? ხომ ხედავ, რომ ვიტანჯები და როგორ ბედავ ჩემს მოტყუებას? ვერ გაიგე, რომ მე შენ 5 ათას დოლარად შეფასებული ყელსაბამი მოგეცი? ახლა, ნებას იბოძებ და მის სანაცვლოდ წყალს მომცემ.

მეზღვაური გეუბნებით, წყალი არ მაქვს. (მოცეკვავე ზურგს აქცევს. ჯენტლმენთან მიცოცდება, გვერდით მიუწვება და ტირილს დაიწყებს)

ჯენტლმენი (სახე ბრაზით აქვს ანთებული და გაშმაგებული იქნევს მუშტებს ჰაერში.) ღორო, ღორო! გაუმაძღარო ძაღლო!

მოცეკვავე (წამოჯდება და თვალებს იწმენდს) ხომ გაიგონე რა გვიპასუხა? წყლის მოცემას არ აპირებს. შეიძლება თავისთვის აქვს ცოტაოდენი გადანახული და არ უნდა ჩვენ გაგვიყოს. ახლა როგორ მოვიქცეთ? რა ვქნათ?

ჯენტლმენი (ნაღვლიანად) არაფერიც არ უნდა ვქნათ. ის ჩვენზე ძლიერია. აზრი არ აქვს წინააღმდეგობის გაწევას. თან კუნძულსაც ვერ მივაღწევთ. მალე სიკვდილი მოგვიკაკუნებს. სულ ესაა. (უკან მიიწევა და თავს ხელებში ჩადებს.უდიდესი მწუხარებით უთრთის მხრები)

მოცეკვავე (თვალები უცაბ აენთო) აჰ, აბა ვინ არის ახლა მშიშარა? როგორც ჩანს, ყველანაირი იმედი გადაიწურე. მე ჯერ არ ვაპირებ დანებებას. კიდევ მაქვს რაღაც საშუალება, რასაც არასოდეს უღალატია ჩემთვის.

ჯენტლმენი (თავს მაღლა წევს და გაკვირვებით უყურებს მოცეკვავეს) შენ რა, უფრო მეტი ფულის შეთავაზებას აპირებ?

მოცეკვავე (უცნაური ღიმილით) არა. სულაც არა. მე ფულზე ღირებულ რამეს შევთავაზებ და წყალსაც მივიღებთ. (დაჭმუჭნულ მაქმანს მოახევს პატარა ნაწილს და სახეზე ძალიან ფაქიზად ისვამს, თითქოს ფერუმარილს იმატებსო.)

ჯენტლმენი (გაშტერებული უყურებს) ვერაფერი გავიგე

მოცეკვავე (მაქმანიან წინდებს გაიხდის და დაიწყებს კაბის გაწმენდას. გრძელ თმას იწნავს და მთელ თავზე იხვევს. რამოდენიმეჯერ იჩქმიტა ისედაც საკმაოდ აწითლებულ ლოყებზე. შემდეგ კეკლუცად შებრუნდა ჯენტლმენისკენ და უთხრა) ესეც ასე. ხომ უკეთესად გამოვიყურები? აბა, რას იტყვი?

ჯენტლმენი (გიჟური ხარხარი აუტყდება) საშინლად გამოიყურები! საფრთხობელას გავხარ!
მოცეკვავე იტყუები! მე მშვენიერი ვარ. ყველამ იცის, რომ უზადოდ ლამაზი ვარ. ეს პირადად შენც მითხარი. სხვათაშორის, საშინელებას შენ უფრო გავხარ. ჩემი გშურს. იცოდე, ერთ წვეთ წყალსაც არ მოგცემ.
ჯენტლმენი წყალს მაინც ვერ მიიღებ. საზარლად გამოიყურები. მაინც რის გაკეთებას აპირებ? (დამცინავად) უცეკვებ? იცეკვე სალომე! შენი ორკესტრი მე ვიქნები, ის კი მაყურებელი. ორივესგან დიად აპლოდისმენტებს მიიღებ. (ჯენტლმენი იდაყვს დაეყრდნობა, თან მოცეკვავეს უყურებს და თან თავისთვის ხითხითებს)
მოცეკვავე (გაბრაზებული შემობრუნდება ჯეტლმენისგან და ხოხვით მიცოცდება მეზღვაურთან,თან რაც შეიძლება მაცდური ხმით ეძახის) მეზღვაურო! მზღვაურო! (შავკანიანს თითქოს არც ესმის-მოცეკვავე მეზღვაურის ხელს იღებს და ნაზად არხევს-უცებ ტრიალდება მეზღვაური და უცნაურად აშტერდება მას.) მისმინე, მეზღვაურო. შენი სახელი შემახსენე? (თან მაცდურად უღიმის.მეზღვაური ხმას არ იღებს) ე.ი. არ მეუბნები? ჩემზე ნამდვილად გაბრაზებული ხარ, არა? ისე, ვერავინ გაგამტყუნებს. საშინელი სიტყვებით მოგიხსენიე. მართლა ძალიან ვწუხვარ. (თვალი გაექცევა ჯენტლმენისკენ,რომელიც გაფაციცებით ადევნებს თვალყურს მათ საუბარს) სწორედ ამ ჯენტლმენის ბრალია, რომ თავი ამდენი სისულელით მაქვს გამოტენილი. იცი, რომ სულაც არ მოწონხარ? თავიდან მეც არ მომწონდი, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ თქვენ ორში შენ მასზე ბევრად უკეთესი ხარ. ის მძულს! მან ბევრი საშინელი ისეთი რამ თქვა,რისი პატიებაც არ შემიძლია. (მეზღვაურს ხელს ადებს მხარზე,შემდეგ მისკენ იხრება. მოცეკვავის გრძელი ოქროს თმა მეზღვაურის კალთას ეხება. თან გამომწვევად იღიმება) ძალიან მომწოხარ მეზღვაურო. შენ დიდი და ძლიერი ხარ. ჩვენგან ძალიან კარგი მეგობრები ვიქნებოდით, არა? (შავკანიანი არ აქცევს ყურადღებას და ზვიგენებს გაჰყურებს) დარწმუნებული ვარ, რომ ერთ ყლუპ წყალზე უარს არ მეტყვი.
მეზღვაური წყალი არ მაქვს.
მოცეკვავე ოჰ, რატომ ქმნი ასეთ ტრაგედიას? ნუთუ საკმარის ფასს არ გთავაზობ? (მეზღვაურს კისერზე ხვევს ხელს და თითქმის ჩურჩულით ეუბება.) ნუთუ არ გესმის ჩემი? მე შენ მეყვარები მეზღვაურო. ჩემი სიყვარულის მოსაპოვებლად მილიონერი ჰერცოგები იბრძოდნენ, თუმცა მე არცერთი არ მიყვარდა. სამაგიეროდ შენ მეყვარები. თვალებში შემომხედე, მეზღვაურო. (რაღაც უჩურჩულა მოცეკვავემ და მეზღვაურის თვალები უცნაურად აკიაფდა. ნესტოებიც უცებ გაუფართოვდა და ჰაერის ნაკადი ხმაურით გამოუშვა ცხვირიდან, მთელი სხეული დაეჭიმა და თითქოს მზად იყო მოცეკვავის დასატაცებლად. თუმცა რამოდენიმე წამში ისევ გულგრილი ხდება და ზვიგენებისკენ მიბრუნდება.)
მოცეკვავე ოჰ, ნუთუ ვერასოდეს მიხვდები? ნუთუ ისეთი სულელი ხარ, რომ ვერ იგებ რას ვგულისხმობდი? მისმინე! ჩემს თავს გთავაზობ. აი, შენს წინაშეც ვიჩოქებ, თუმცა როგორც წესი მამაკაცები იჩოქებდნენ ხოლმე ჩემს წინაშე! ჩემს სხეულს გთავაზობ, მას მუდამ ხოტბას ასხამდნენ მამაკაცები. მე შენ სიყვარულს გპირდები, შავკანიანო მეზღვაურო, თუ შენ ცოტა წყალს მომცემ. ნუთუ ვერ ხვდები, რომ შენი ყოყმანით შეურაცხყოფას მაყენებ? (ხმას უწევს) მიპასუხე! ხმა გამეცი! იმ წყეულ წყალს არ მომცემ?
მზღვაური (არც კი იყურება მისკენ) წყალი არ მაქვს.
მოცეკვავე (ბრაზისგან კანკალებს) ღმერთოO დიდებულო, ნუთუ ამისთვის დავიმცირე თავი? აბუჩად განა იმიტომ ავიგდე ჩემი სახელი, რომ ამ შავ ცხოველს ქუჩის მეძავივით მოვეშორებინე? ეს უკვე მეტისმეტია! შენ

ბინძური მატყუარა და არარაობა ხარ! წყალი კი ნამდვილად გაქვს. ჩვენი კუთვნილი წყალი ხომ შენ მოიპარე. (გაშმაგებული ორივე ხელით სწვდება მეზღვაურს ყელში) მომეცი წყალი! ახლავე მომეცი წყალი!
მეზღვაური (კისრიდან მოცეკვავის ხელებს იშორებს და სწრაფად ჰკრავს ხელს. სახით ძირს ეცემა) თავი დამანებეთ! წყალი არ მაქვს.
ჯენტლმენი (სასწრაფოდ წამოდგება თავისი ადგილიდან) რა მოხდა? ჩამეძინა და ცივი წყლით სავსე ჭურჭელი დამესიზმრა. ძალიან ახლოს იყო ჩემთან, მაგრამ ვერაფრით ვერ ვწვდებოდი. საშინელება იყო. კი, მაგრამ აქ რა მოხდა? რა მოხდა, გამაგებინეთ. (არავინ სცემს პასუხს. შავკანიანი ისევ ზვიგენებს გაჰყურებს. მოცეკვავე ნიჩბების ჩასამაგრებელ ადგილას აგდია და გმინავს. უცებ ძალას იკრებს და მისი საბრალო გამოხედვა სადღაც ქრება. ნელა დგება ფეხზე, თუმცა ნავის ყანყალის გამო ვერ ახერხებს წელში გამართვას. შემაძრწუნებლად იყურება. თვალები თითქოს გუგებიდან გადმოცვენას ლამობენო. არაადამიანური გამომეტყველება აქვს. უკანასკნელი მოთმინების ძაფი გაუწყდა. საბოლოოდ შეიშალა ჭკუიდან).
მოცეკვავე (თეძოზე ხელის დასმით კაბას ისწორებს, თითქოს სარკის წინ პოზირებდეს) სწრაფად, მარი! დღეს ძალიან ზანტად იქცევი. დავაგვიანებ. ნუთუ ვერ გაიგონე ზარის ხმა? ახლა ჩემი ჯერია. ამაღამაც ხომ არ გამომიგზავნა ყვავილები, მარი? კარგია, ე.ი. მოსაცდელში დამელოდება. მე გავუღიმებ იმ საბრალო მოხუც სულელს. ერთ დღესაც ჩემზე იქორწინებს და მე ჰერცოგინია გავხდები. წარმოიდგინე მარი, ნამდვილი ჰერცოგინია! დიახ, დიახ… ახლავე მოვდივარ. საჭირო არ არის ფარდის ნელა აწევა. (თავს მკერდთან მიიდებს და რაღაცას ბუტბუტებს თავისთვის. ჯენტლმენი მთელი ამ ხნის განმავლობაში გაოცებული უყურებს. ბოლოს კი გაშტერებული სახით მიაჩერდება. როცა მოცეკვავე საუბარს დაასრულებს ჯენტლმენი ტაშს უკრავს) ჯენტლმენი განაგრძე! განაგრძე! პატარა სპექტაკლს ჰგავს შენი გამოსვლა. (სიცილით ლამის იგუდება)
მოცეკვავე აშკარად დამცინიან. როგორ მიბედავენ. რა სამარცხვინოა. ძალიან დიდი სიამოვებით წავიდოდი აქედან. ძალიან მწყურია. (თვალებთან მიაქვს ხელი) აი ჩვენი საყვარელი ჰერცოგიც, საბრალო მოხუცი. მოდი, ხელს დავუქნევ. (შორიდან უქნევს ხელს) ძალიან კარგად მექცევა ეს ჰერცოგი. სამწუხაროა, რომ უზომოდ მოხუცია. ნეტავ რომელი სიმღერა უნდა შევასრულო? ოჰ, დიახ. (მისუსტებული ხმით რომელიღაცა სიმღერის ნაწყვეტს წაიმღერებს.შავკანიანი ზურგს აქცევს და თან უცნაურად უყურებს. ჯენტლმენი ხელებს იფშვნეტს) ტაშს მიკრავენ. ეხლა მათთვის უნდა ვიცეკვო! (მოცეკვავე გადაწყვეტს მოქანავე ნავზე იცეკვოს. თმა ჩამოეშლება. მისი მიხვრა-მოხვრა მარეონეტის ცეკვის ასოციაციას იწვევდა. სულ უფრო და უფრო სწრაფად ცეკვავს. ხელებს და ფეხებს გაშმაგებულად იქნევს, თითქოს მათი დამორჩილება უჭირსო.) ოჰ, რა საშინლად ცხელა! (ბიუსჰალტერს ორივე ხელით ისწორებს და ზურგს უკან იწევს. თითქმის წელამდე აქვს ტანი გაშიშვლებული. მკერდზე შიმშილის ნაკვალევი ეტყობა. უცებ ჰაერში ახტება და ორივე ფეხს ერთმანეთს შემოჰკრავს.) ოჰ, ძალიან დამცხა! ცოტა წყალი დამალევინეთ! ვიხრჩობი! (ნავზე ეცემა. უცებ მთელი ტანი აუკანკალდება. სისხლისფერი დუჟი ამოსდის პირიდან. თვალები დაბინდული აქვს. დანარჩენები გაშტერებულები იყურებიან. მოცეკვავე კვდება.)
ჯეტლმენი (გიჟივით იცინის და ტაშს უკრავს) ბრავო! ბრავო! კიდევ შეგვისრულე! (პასუხს არავინ სცემს. გაუსაძლისი სიჩუმე ჩამოვარდება. ცხელი ტალღები ქალის გაშეშებულ სხეულს ასველებენ, თითქოს მისი სულის წაყვანა აქვთ განზრახული. ჯენტლმენს სახეზე შიში და ძრწოლა ეტყობა. შავკანიანს უცნაური გამომეტყველება აქვს. ზოგმა შეიძლება იფიქროს კიდეც, რომ მეზღვაურმა შვებით ამოისუნთქა, თითქოს მისთვის რაღაც რთული პრობლემა გადაწყდა.)

ჯენტლმენი ხმას რატომ არ მცემს? ალბათ ცუდად არის. (მოცეკვავესთან მიხოხდება) აშკარად გული წაუვიდა. (ხელს გულზე ადებს, შემდეგ ყური ახლოს მიაქვს, რომ გულისცმას მოუსმინოს. სახე მთლიანად უწითლდება და დაბნეული სახით აშტერდება ერთ ადგილს.) ღმერთო ჩემო! მკვდარია! საბრალო გოგონა! რა საშინელებაა! (ტირილს დაიწყებს, იქვე ჩამოჯდება და მოცეკვავის ოქროსფერ თმას თითებით ეფერება. შავკანიანის ხმა ერთიანად შეაკრთობს)

მზღვაური მკვდარია?

ჯენტლმენი დიახ. მოკვდა საწყალი. გული არ უცემს

მეზღვაური მისთვის უკეთესია. აქ უფრო მეტად დაიტანჯებოდა. ერთ-ერთი ჩვენთაგანი მაინც უნდა მომკვდარიყო. (პაუზის შემდეგ) გაგვიმართლა, რომ მოკვდა.

ჯენტლმენი რას გულისხმობ? რა სიკეთე უნდა მოგვიტანოს მკვდარმა?

მზღვაური ახლა ორივე გადავრჩებით. (ჯიბიდან დანას იღებს, ხსნის და ფეხსაცმლის ძირზე უსვამს რამდენჯერმე. თან მელოდიას ღიღინებს და არემარეს სიმღერით აფხიზლებს.)

ჯენტლმენი (ძალიან სწრაფი და აღშფოთებული ხმით) ვერაფერი გავიგე

მეზღვაური (მის დამსკდარ ტუჩებს ზიზღი გადაურბენს და გალესილ დანას მოცეკვავის სხეულს შეახებს) ჩვენ საჭმელი გვაქვს. აღარც მოგვწყურდება.

ჯენტლმენი (რაღაც დროის განმავლობაში დამუნჯებული ზის და მისი თითოეული კუნთი ენითაღუწერელი ზიზღით თრთის.) არა! არა! არა! ღმერთო, ოღონდ ეს არა! (ძალიან სწრაფად აღმოჩნდება ნავის ბოლოში და მოცეკვავის მკვდარ სხეულს დიდი გაჭირვებით გადააგდებს წყალში. მოდარაჯე ზვიგენების დიდი არმია სწრაფად შეეგებება თავის ნადავლს. სამაშველო ნავი აქაფებულ წყალში ტივტივებს. საბრალო მოცეკვავის სხეული თვალის დახამხამბაში გაქრება. რამოდენიმე წუთში ისევ გამაგიჟებელი სიმშვიდე მოიცავს არემარეს. წყლის ზედაპირზე სისხლის მუქი ლაქა გაჩნდება. მეზღვაური, რომელიც მკვდარი მოცეკვავის სხეულს ეჯაჯგურებოდა, უცებ ყურისწამღებ ღრიალს მორთავს, დანით გაექანება ჯენტლმენისკენ და მკერდში ჩაარტყავს. ჯენტლმენი მეტისმეტი ტკივილიგან ხმას ვერ იღებს, მარტო ფეხზე წამოდგომას ახერხებს. ადგომისთანავე წონასწორობას დაკარგავს და წყალში ჩავარდნამდე მოასწრებს მეზღვაურის მოსასხამისთვის ხელის წავლებას.მეზღვაური წინააღმდეგობას უწევს, აქეთ-იქით ყირავდება, უცებ დაკარგავს წონასწორობას და თავით გადაეშვება წყალში. შხეფები მომენტალურად ამოცვივა წყლიდან. ზვიგენების ფარფლები ისევ გამოჩნდებიან. წყალი აქაფდება. მეზღვაურის შავი ქუდი ამოტივტივდება ორიოდე წუთით. საბრალოს სახეზე აღუწერელი შიში აწერია, ხოლო დამსკდარი ტუჩები ყვირილითაც ვერ გამოხატავენ სასოწარკვეთას. წყალი მას მომენტალურად დაფარავს.

წყლის ზედაპირზე მუქი ლაქა თანდათან იზრდება. ფარფლებიც აღარსად ჩანს. სამაშველო ნავი ნაზად ტივტივებს დაუსრულებელ სიწყნარეში. მწველი მზე ისევ დაჟინებით დანათოდა არემარეს. საშინლად ცხელი ტალღები გარდაცვლილების სულების მსგავსად ზეცისკენ ასვლას ლამობდნენ. მცხუნვარე მზის სხივების ქვეშ საუცხოოდ ელვარებს ბრილიანტის ძვირფასი ყელსაბამი….

(ფარდა ეშვება)